

მე-8 კლასი

ანალოგიები

1. ბრძოლა:უთანასწორო  
ა. წყალი:მინერალური    ბ. ნაძვი:მარადმწვანე    გ. ყინული:ცხელი
2. ჭადრაკი:პაიკი  
ა. ორკესტრი:დირიჟორი    ბ. კინოფილმი:ოპერატორი    გ. არმია:რიგითი
3. ზმნა:უღლება    არსებითი სახელი:  
ა. მორფოლოგია    ბ. ბრუნვა    გ. მოქმედება

წინადადებების შევსება

4. დღესდღეობით ქუჩაში გამვლელი ყველა გოგო \_\_\_\_\_, რადგან \_\_\_\_\_ მოდას აჰყვებს.  
ა. განსხვავდება ერთმანეთისაგან/ყველა მათგანი ცდილობს  
ბ. ერთმანეთს გავს/ყველა მათგანი ცდილობს  
გ. ერთმანეთს გავს/ზოგი მათგანი არ ცდილობს
5. ბავშვები \_\_\_\_\_ უცნაურად - \_\_\_\_\_ გამოხატავენ ხოლმე.  
ა. სიყვარულს/ჩხუბით  
ბ. უარყოფით დამოკიდებულებას/ჩახუტებით  
გ. მოწონებას/ჩახუტებით
6. მათ, ვინც იცოდა, რომ თორნიკემ მათემატიკა \_\_\_\_\_, ყველას უკვირდა, რომ იგი მათემატიკურ ოლიმპიადებში \_\_\_\_\_.  
ა. კარგად იცოდა/წარმატებას ვერ აღწევდა  
ბ. კარგად არ იცოდა/წარმატებით ვერ გამოირჩეოდა  
გ. კარგად იცოდა/ყოველთვის იმარჯვებდა

ლოგიკა

7. ჯეკო, ტასო, კატო, ნოდო, ნინა და დათო მასწავლებელმა მერხებთან წყვილ-წვილად დასვა. ვინ ზის ჯეკოსთან, თუ ცნობილია, რომ კატო ტასოსთან ზის, ხოლო ნინა არ ზის დათოსთან?  
ა. ნინა    ბ. დათო    გ. შეუძლებელია დადგენა
8. ჭეშმარიტია, რომ ყველა ბეჯითი ფრიადოსანია. რომელია მაშინ მცდარი?  
ა. ნინო ბეჯითია და ფრიადოსანია  
ბ. ნინო ბეჯითია და ფრიადოსანი არ არის  
გ. ნინო არც ბეჯითია და არ ფრიადოსანი
9. ლუკამ, შოთამ, ლიზიმ და ელენემ ერთმანეთს წერილები გაუგზავნეს. თითომ \_ თითოს დანარჩენი სამიდან. აღმოჩნდა, რომ წერილი ყველას მიუვიდა. რა არ შეიძლებოდა მომხდარიყო?  
ა. ლუკამ მისწერა შოთას, შოთამ \_ ლიზის და ლიზიმ \_ ლუკას

- ბ. ლუკამ მისწერა ლიზის, ლიზიმ \_ შოთას და შოთამ \_ თეოს  
გ. ლუკამ მისწერა თეოს, თეომ \_ ლუკას და შოთამ \_ ლიზის

მონაცემთა საკმარისობა

10. კლასში 24 მოსწავლეა. მოცემულია ორი პირობა:  
I : ამ კლასში უფრო მეტი ბიჭი სწავლობს, ვიდრე გოგონა  
II : ამ კლასში სწავლობს 15 ბიჭი  
იმისათვის, რომ გავიგოთ რამდენი გოგო სწავლობს კლასში  
ა. საკმარისია ცალ-ცალკე როგორც I, ასევე II პირობა  
ბ. II პირობა საკმარისია, I კი არა  
გ. საკმარისია ორივე პირობა ერთად, ცალ-ცალკე კი არც ერთი პირობა არ არის საკმარისი
11. ცნობილია, რომ ნინო 10 წლით უფროსია ნანაზე. მოცემულია ორი პირობა:  
I : ნინო 15 წლისაა  
II : 5 წელიწადში ნინო ნანაზე 2-ჯერ უფროსი იქნება  
იმისათვის, რომ გავიგოთ რამდენი წლისაა ნანა  
ა. საკმარისია ცალ-ცალკე როგორც I, ასევე II პირობა  
ბ. II პირობა საკმარისია, I კი არა  
გ. I პირობა საკმარისია, II კი არა
12. მოცემულია ორი პირობა:  
I : კვადრატის პერიმეტრია 24 სმ  
II : კვადრატის ფართობია 36 სმ<sup>2</sup>  
იმისათვის, რომ გავიგოთ კვადრატის გვერდი  
ა. მოცემული პირობები არ არის საკმარისი  
ბ. II პირობა საკმარისია, I კი არა  
გ. საკმარისია ცალ-ცალკე როგორც I, ასევე II პირობა

მათემატიკური აზროვნება

13. რომელია მეტი? შემოხაზეთ ა თუ მეტია A, შემოხაზეთ ბ თუ მეტია B და შემოხაზეთ გ თუ  
 $A=B$   
 $A = \frac{1}{7}$   
 $B = 0.14$   
ა ბ გ
14. რა ციფრით ბოლოვდება  $32425^{12}$   
ა. 5-ით ბ. 6-ით გ. 1-ით
15. რამდენი ლუწი ორნიშნა რიცხვი იყოფა 7-ზე?  
ა. 6 ბ. 7 გ. 12